№ 274
კვირა, 19 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1893

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 274
კვირა, 19 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის ღასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიმართონ რედაქციას, ან ეროვნულ კომიტეტს
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას — სასა-
ლის ქუჩა, ბანკის ქუჩის კუთხე.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲣᲐᲖᲘᲒᲔᲒᲘᲡ

ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის სამკურნალოს ნიშიდამ კვირას, დილის 9 საათზე და მიასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში, საცა წირვის შემდეგ ანდერძს აუგებენ და იქიდამ წაასვენებენ ვერის გზით სოფ. სტეფან-წმინდას.

ქართული დრამატიული დასი
სთხოვს მეგობართა და პატრონებსა
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲣᲐᲖᲘᲒᲔᲒᲘᲡᲐᲡ (ᲛᲝᲣᲮᲔᲓᲕᲔᲚᲐᲡ)
მობრძანდეთ შაბათს, 18 დეკემ., 1 საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდზედ და კვირას, 19 დეკ., დილის 9 საათზედ მიცვალებულის გამოსვენებაზედ ქალაქის სამკურნალოს ეკლესიიდგან ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—2)

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

გამოვა 1894 წელსაც
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲘᲑᲔᲒᲘᲡᲐ
დაიბეჭდა დემეროვის ლიტოგრაფიაში და დაურიგდა ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიას
ფასი—ᲔᲠᲗᲘ-ᲐᲑᲐᲖᲘ
ვინც 20 ცალს ან მეტს დაიბარებს, დაეთმობა ერთი მეხუთედი ფასი სურათისა.
ადრესი: Тифлисъ, Чугуреты, Гончарная, М. Тоидзе.
(3—1)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,
ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ
ᲒᲚ. Ს. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ
წარმოდგენილი იქნება.
I
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲡᲐᲚᲐ ᲨᲔᲘᲡ
ᲒᲣᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ
დრ. 4 მოქ. რაკშანინისა, თარგ. ნიკიტინისა

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲝᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ

მოდგნენ დანგრეულის დარბაზის ეზოში. ყველას ხმლები ერტყათ წელზე, რკინის პერანგები ეცვათ ტანზე, თავზე მუზარადები ეხურათ; ზოგს დამტვრეული მუზარადები ხელში ეპყრა და თავ-პირზე გამხმარი სისხლი ეტყობოდა, წყლულიდამ გადმონადენი; სხვას რკინის პერანგიდამ გადმონადენი სისხლი ზედ მიჰხმიბოდა. სახედაღვრემილია. ტანჯვისა და წვალების ღრუბელი გადაჰკროდათ პირისახეზედ. არც ერთს იმთგანს არ გაუცინია, არც ერთს იმათგანს არ დაუძრავს ენა ეთქვა რამ, ყველას თითქოს ესმოდა ერთი მეორის გულის პასუხი. ჯავრს, ვარამს, დიდს ბოლომას შაეპყრო მთელი მათი ახოვანი მედიდური არსება. ზოგს მეტის-მეტად უხდებოდა მსხვილი, დიდრონი მკლავები, პრტყელს გულს-მკერდზე დაწყობით დალაგებული.

დარბაზს ათვალიერებდნენ, მიდამოს თვალს ავლებდნენ. მინდა გავიგონო ერთი სიტყვა მაინც ამ გმირების პირით. რად მოსულან, ვის ეძებენ, ამისთანა ხალხი ეხლა ხომ აღარა სთელავს დედა-მიწას?! სულ-განაბული, სახე გამტკნარებული ვაშტერდები, სმენადა ვარ გადაქცეული: სთქვით რამ, საკვირველო კაცებო, სთქვით გამაგონეთ თქვენი ხმა. გულდამშეული ვლუღლუღებ ჩემთვის, იმათ ვერაფერი მივადინე, ისინი მე ყურს არ მიგდებენ, როგორც არ უგდებს დიდი სალი კლდე ყურს ქარის გრიალს, ფრინველის ფრთის შეხებას. რომ ვერაფერი ვსთქვი და ხმა ჩამიწყდა, იმათ რად უნდა დავაბრალო ყურის მოუგდებლობა. თუნდა მეთქვა კიდევაც, რას გავაგონებდი იმათ ჩემის უძლურის ხმით?! ზღვის ძირში განა ჩააწვდენს კაცი ხმასა?! დიდს ფიქრში, დიდს ტანჯვაში იყო ჩავარდნილი იმათი გული და გონება. „ვაჰმეო“, ესა სთქვეს მხოლოდ, ეს ძლივს გავიგონე და ისევ მწყობრად გაბრუნდნენ. მეც მინდოდა იმათ გავყოლოდი თან, იმათთან მეცხოვრა, გამეგო იმათი გულის პასუხი,—წამოვიწიე, მაგრამ მუხლები მომეკვეთა და დავეშვი ისევ დედა-მიწაზე, თვალები-კი იმათ მივაშტერე. შუაზე ჩამოწვა შავი ღრუბელი და ველარაფერი დავინახე. პირ-ქვე წავწექი და ბალღივით ტირილი დავიწყე. რადა ვსტიროდი, რა მაწუხებდა, რა იყო იქ ჩემი, ვინ მომიკვდა? ვინ წამივიდა, რომ ველარ ვნახო?! არა, ველარა გნახავ, ველარ. ერთხელ ვნახე მხოლოდ, ერთხელ იმათი სახე.

ღრუბელი გაშავდა, ფეხის ხმაც აღარ ისმის. არც ერთი სულიერი ხმას არ იღებს. გამტკნარებული, გაჩუმებული ჩამონგრეული დარბაზი ისევ ისე სდგას. იმანაც არაფრად დაიჩნია მხედართა სტუმრობა და წასვლა, როგორც იმათ ჩემი იქ ყოფნა ვერ გაიგეს. თავ-ჩამონგრეული კოშკები ისევ ისე სდგანან წარბ-შეუხრელად, თითქოს იქ საკვირველი არაფერი მომხდარიყოს. საბრალოა უსულო, უგულო, უენო ქმნილება! რაა მისი ყოფნა თუ მშვენიერებით, სიტურფით ერთხელ მაინც ვერ დასტკბება, ერთს წუთას?!.

პირ-ქვე ვეგდე, თვალებზე ხელებ მიფარებული და ბავშვივითა ვსტიროდი, მაგრამ ბავშვი ისე გულ-მოკლულად არა დროს არა სტირის, მაშინაც-კი, როცა დედას აშორებენ და შორს სადმე მიჰყავთ. იტირებს ცოტა ხანს და მალე გამოიდარებს. მე რომ ვსტიროდი ჩემს თავზე, ვილამაც ხით-ხითი, სიცილი დაიწყო, მე დამცინოდა. ავიხედე. საზარელი სანახავი წამომიდგა თვალ-წინ... ბედმა განა ასე უნდა დაიბრიყვოს ადამიანი, როგორც მე დამიბრიყვა მაშინ?!. რა სურათის შემდეგ რა სურათსა ვხედავ! სამოთხის შემდეგ ჯოჯოხეთში ყოფნა ვის ესიამოვნება? ქაჯი, ალი წამომდგომოდა თავზე: თავის ცბიერის თვალებით, გაწეწილის, მქისე საძაგელის შეხედულობით, გული სრულიად დამიკაწრა,—პირველი შთაბეჭდილება თითქმის გააქარწყლა.

— რა გინდა შე წყეულო-მეთქი?

— რასა სტირი, შე საწყალოვო, მიპასუხა მან და მომაყარა ხით-ხითი, გულის ამამღვრეველი, გონების შემაძრწუნებელი.

ოხ, რა საძაგელი, რა ფინთი რამ იყო ის ღვთისაგან წყეული...

— შენ რას ჰკითხულობ, რადაც

II
ᲐᲠᲪ ᲐᲥᲔᲗ ᲐᲠᲪ ᲘᲥᲘᲗ

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, ნუბიერიძისა, ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲩᲕᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ

ორშაბათს, 20 დეკემბერს, **ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲝᲒᲠᲐᲢᲘᲐᲨᲘ** დანიშნულია

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარანი და ძნელაძიისა და ბ-ნნი მაქსიმოვი, ვასილიევი, სარაჯიშვილი, ფერრარი, ოპოჩინინი, აბაშიძე, მესხი. ერისთავი და დიასამიძე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

კონცერტის შემდეგ

ᲑᲐᲜᲪᲘ

დაწვრილებით ათვშაში იქმნება გამოცხადებული.

ბილეთების ყიდვა შეიძლება წერა-კითხვის კანცელარიაში და სობრანიაში.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

მწერლობას მთელს ქვეყნიერობაზედ დიდი და ბრწყინვალე ალაგი უჭირავს; მწერლობის ხელთ არის დღეს თითქმის მთელი კაცობრიობის ბედ-იდბალი; მწერლობა თავის ნებაზედ და სურვილზედ ატარებს თვით გვირგვინოსან მმართველთაც და მის დაუკითხავად ვერ შეირყევა კაცობრიობის მშვიდობიანობა და სამუდამო კეთილ-განწყობილება ერთა შუა.

მაგრამ მწერლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმისთანა ერისათვის, როგორათაც ჩვენი ერია; ჩვენთვის ერთად-ერთი ფარ-ხმალი, შემაერთებელი კავშირი, ძმობისა და ერთობის დამთესი და ამაღორძინებელი, ჩვენი გულის მწუხარების და იმედების გამომხატველი, ჩვენის ცრემლის მომწმენდი, მხოლოდ მწერლობაა და ჩვენნი გმირნი მხოლოდ მწერალნი არიან; მხოლოდ მწერლობის საშუალებით შეგვიძლიან განვიახლოთ ჩვენი წარსული, შევიმზადოთ ჩვენი მომავალი და გავზომოთ ჩვენი აწმყო. და რომ მწერლობას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ მწერლობა ნამდვილი ჩვენი ცხოვრების ნადუღია, განა იქიდგან არა სჩანს, რომ დღეს, სხვა-დასხვა შორეულ ქვეყნებში გაბნეულნი ქართველნი ერთის გრძნობით, ერთის მწუხარებით ვართ გამსჭვალულნი? განა ძვირფასი მწერალი ის შემაერთებელი ძალა არ არის, რომელიც ყველას, საცა უნდა ვიყვნეთ და რა წოდებასაც უნდა ვეკუთვნოდეთ ერთ სულ და ერთ ხორც გვყოფს? და, თუ ეს ასეა, თუ ყველა ქართველი კერძოდ და ყველანი ერთად ვგრძნობთ იმ ძალას შეერთებისას, რატომ არ შევერთდებით და საერთო ღონით არ შევადგენთ ერთს ზნეობრივს კავშირს, რომლის დახმარებითაც შეეძლოს ყოველს ნიჭიერს, ყოველს მწერლობის მიმდევარს და გამაძლიერებელს, შეიძინოს ამ კავშირის დახმარებით ზნეობრივი ძალა და ღონე?

სახსოვრად დღევანდელის დღისა, სახსოვრად ჩვენის სიტყვა-კაზმულის მწერლობის დამამშვენებელისა, მივმართავ ქართველ საზოგადოებას და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი შეუძლიან და რითიც-კი შეუძლიან, ხელი შეუწყოს საალიტერატურო ფონდის გაძლიერებას და იმ გვარ წრის შედგენას, რომელიც ახალგაზდა ქართველ მწერალთ ნავთსაყუდლად გაუხდება და რომლის შემწეობითაც დაუბრკოლებლივ განაგრძობენ თავის ნაყოფიერს შრომას სამშობლო ლიტერატურის სასარგებლოდ.

ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ გულმხურვალება იმ უმაწვილ მწერალთა შესახებ, რომელნიც დღეს ლუკმა-პურის მოპოვებას ანდომებენ თავის ბრწყინვალე ნიჭს და სამშობლო ლიტერატურისათვის-კი რჩებათ მხოლოდ გამოლეული ღონე, დაძაბუნებული ჯანი და გონება.

ჩვენ უნდა შევკრიბოთ ასეთნი მწერალნი, ხელი გავუწოდოთ, ვანუგეშოთ და ჩვენის თანაგრძნობით გავუღვივოთ ზეგარდმო მინიჭებული ღვთიური ნაპერწკალი შემოქმედებისა!

ჩვენ უნდა სიცოცხლითვე დავუმტკიცოთ, რომ ისინი ჩვენი სიამაყენი და იმედნი არიან და მარტო სიკვდილს შემდეგ არ ვაფასებთ მათს ნიჭს და მათს მნიშვნელობას ჩვენის ეროვნულ ზრდისა და წარმატებისათვის.

რამდენი ახალგაზდა მწერალი გვყავს დღეს უყურადღებოდ, რამდენი მათგანი ებრძვის გაჭირვებას, გულ-გატეხილია იმ მადლიან წყაროს უქონლობით, რომელსაც თანაგრძნობას და თავის ერის სიყვარულს უწოდებენ. ნუ, ნუ ვიქმთ ამას, ნუ გადავდებთ ჩვენს თანაგრძნობას სახვალიოდ და დღესვე შევუდგეთ იმის ასრულებას, რაიცა ყოველს ჩვენგანს თავის მოვალეობად უნდა მიაჩნდეს.

რამდენი მაგალითია იმისი, თუ რა სამწუხარო ბოლო მოსდევს დაგვიანებულს ხელის გაწვდენას, დაგვიანებულს გულ-მტკივნეულობას! ყოველი სიმდიდრე დაკარგულია, თუ დროზედ არ იქნება დაფასებული, შემუშავებული და პატივცემული.

მაშ, დავაჩქაროთ ამ ფონდის დაარსება და გაძლიერება. დავამტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან დაფასება იმათი, ვინც მარილია ქვეყნისა, ვინც ამშვენებს მშობელს ქვეყანას, ვისაც დიდი ნიჭი, გულთა-მხილველობა და ერის გულის-პასუხის გამოთქმა უხვად მიჰნიჭებია ზეცით, ვინც დიდებაა და ნუგეში ჩვენის ერისა!

ეკ. გაბაშვილისა

ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 21 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. მორიგი საქმეა შედგენა ხარჯთაღრიცხვისა 1894 წლისათვის. დასასრულ კრებას ექნება სჯა 1893 წლის მოსავლის გამო ამიერ-კავკასიაში. კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიან დაესწრნენ.

*** სოფ. ჩომეთი: (ოზურგეთის მაზრა): აქ ხუნაგი გაჩნდა და თავზარი დაგვცა. ჯერ ორ ოჯახში არიან ავად ამ სნეულებით. ერთი ოჯახი დიდს განსაცდელშია.

*** სოფ. დიდი-ჯიხაიში (ქვემო-იმერეთი): არა უშავს-რა, ურიგო მოსავალი არ მოგვივიდა. თავს, როგორც იქნება, გავიტანთ და სამათხოვროდ არ გაგვიხდება საქმე. ღვინის მოსავალი უკეთესი იყო, ვიდრე ჭირნახულისა. ძველი დრო მოგვაგონა წლევანდელმა ღვინის მოსავალმა. ვაზის სხურება ვერმორელის აპარატით ძალიან შეითვისა ხალხმა და იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ღვინის მოსავალმა ასე იმატა. აქ უფრო ორნაირ ჯიშის ვაზს აშენებენ: კუნძა-მწვანე და სამ-ჭეჭი.

სამერმისოდ ბევრი პური დაითესა. უფულობა აქეთ დიდია. გროში არ მოეძებნება გლეხობას, სახელმწიფო ფულის გადახდის დროკი ეხლაა. არც ქირავნობა, არც რამ სხვა გამოსარჩენი საქმე არა არის-რა, რომ ორი შაური იშოვოს კაცმა. მეტი ღონე არ არის, უნდა სიმინდი ვყიდოთ ჩალის ფასად. სიმინდს კარგი მუშტარი მხოლოდ იანვარში გაუჩნდება ხოლმე, როცა საზღვარგარეთ გასაგზავნად ჰყიდულობენ. ეხლა-კი უმუშტრობაა. სიძვირეც დიდია ყველაფრისა.

ქურდობა და მცირე ავაზაკობა გახშირდა ამ შემოდგომის ბნელ და დიდ ღამეებში.

სავაჟო სკოლა გვაქვს და ახლა ქალების სკოლაც გვინდა დავაარსოთ. შესდგა პატარა წრე ქალების სკოლის თანამგრძნობელთა. სავაჟო სკოლის მზრუნველმა თ. ალექსანდრე ჩხეიძემ იყიდა სასკოლე ადგილი, რომელიც 500 მანეთამდე ჯდება. იმედია, რომ დახმარებასა და თანაგრძნობას გაუწევენ ამ პატარა წრეს არა მარტო აქაურები, არამედ სხვა სოფლელნი და შეგნებულნი ქართველნიც.

*** ქიზიყი: როგორც იყო, დიდის ხნის სურვილისა და ღაღადების შემდეგ დავაარსეთ სკოლა 1892 წელს, ე. ი. შარშან და პირველადვე დაიწყეს სწავლა 40—50 მოწაფემ, მაგრამ იმის მაგიერად რომ სკოლის წარმატებისათვის გვეზრუნა რამე, აკიღეთ და რვა თვის შემდეგ სკოლა დავკეტეთ. სოფელმა ერთხმად გადასწყვიტა, ფული არა გვაქვს და სკოლას ვერ შევინახავთო.

სოფ. ტირძნისი (ქართლი): აქაური სამრევლო სკოლა თანდათან წარმატებაში შედის. ეხლა აქა სწავლობს ორმოც-და-ათზე მეტი ქალი და ვაჟი და მრავალნი არიან კიდევ იქ სწავლის მოსურნენი, მაგრამ, სამწუხაროდ, საკლასო ოთახში აღარ მოიპოვება საკმარისი ადგილი მათთვის. ამავე სოფელს ამ ჟამად სახელმწიფო ხაზინაში შეტანილი აქვს ორასი თუმანი, რომელიც შესძინა პურის მაღაზიამ.

შეცდომის გასწორება

272 №-ში თავად კონსტანტინე ხერხეულიძის წერილში შეცდომით იყო დაბეჭდილი:

ბეჯითად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ხიდი თავის სიმძიმის გამო ჩაინგრა, ხოლო მიწის მუშაობა შაურად არა ჭღირს.

უნდა იყოს:

ბეჯითად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ხიდი თავის სიმძიმის გამო ჩაინგრევა. რაცკი შეეხება ხიდის შესამგრებელს მისავლებს (насыпи), გროშად არა ჭღირს.

დამაგვირდი

ტალანტი მხოლოდ იშვიათად თუ შეიძლებს ხოლმე წერტილებისაგან ხაზის შექმნას, ისეთის ხაზისას, როგორსაც გენიოსი ერთის სულის გაქნევით გაკვლებს.

ებნერ-ეშენბახი

**

ყოველი ბავშვი მცირეოდნად მაინც გენიოსია, ყოველი გენიოსი მცირეოდნად მაინც ბავშვია.

შოპენჰაუერი

**

სიბრძნეა ის მმართველნი, რომელთაც თავის თავლები სხვის კეფაში აქვთ ჩამსდარი.

ფანკლერი

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲒᲝᲠᲘ: ამ დეკემბრის 11-ს, შაფათ საღამოს აქაურ ქართულ სცენის მოყვარულთ გამართეს წარმოდგენა. აზრი წარმოდგენისა საქველმოქმედო საქმე იყო და ჩვენი პატარა საზოგადოებაც არ დარჩა გულგრილად ამ საქმის წინაშე. ახლო მახლო მდებარე სოფლებიც თანაგრძნობით მიეგებნენ წარმოდგენას: წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოებაში ბლომად ერევნენ იქიდამ ჩამოსულებიც. ითამაშეს „ქოროღლი“ ანტონოვისა და ბ-ნ გუნიას ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „რაც არ გერგება, არ შეგერგება.“ და ითამაშეს ისე სანაქებოდ, ისეთის ხელოვნებით, რომ აღტაცებაში მოსული საზოგადოება დღევანდლამდე დიდის მადლობით იხსენიებს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ. რაღა თქმა უნდა, რომ პროვინციალურ სცენას ბევრი რამ აკლდებოდა: დეკოროცია თითქმის სრულიად არა იყო რა, ნაკლებად იყო აგრეთვე შესაფერი ტანისამოსი და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ნაკლულევანებანი დაჰფარეს მოთამაშეთ თავიანთ ცოდნით, მოხერხებით და საქმისადმი ერთგულებით.. სწორედ ანაქებოდ ჩაიარა ამ წარმოდგენამ; მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დაწყუებლ იქმნა რაღაც უბედურ ვარსკვლავზე, რომელმაც კინაღამ ბოლო მოუღო. ჯერ იყო-და, მოთამეშეთა შორის ასტყდა შინაური უთანხმოება, რომლის მიზეზად გახდა უმნიშვნელო და გაუგებარი ახირება მრავალ სხვა და სხვა ნაკლულევანებათა შორის. ეხლანდელ ქართველს ერთი უბედური თვისებაც აეკიდა საიდგანღაც: თუ ერთი სადმე რაიმე ჩხირი გადააბრუნა, ცოტაოდენი რისამე უნარი გამოიჩინა, ივსება უშინაარსო ბავშურის ამაყობით, გაბერილ-გაბღინძული იწყებს სიარულსა და ყველა თავის ნაცნობ-ამხანაგებს ოლიმპიურის ამპარტავნებით დაჰყურებს ზემოდამ. ამის თვალში ყველანი ჭია-ღუები არიან და თხოულობს მათგან ყურმოჭრილ მორჩილებას. ეუბნევიან კეთილის მყოფნი მაგრამ მის ყურებს სიამაყე ბ თავგასულობა მაგრა დასცობია და ამიტომ კეთილი რჩევა ტყუილ-უბრალოდ იხარჯება მის გარეშემო. სამწუხაროდ ამისთანა თვისებით გამოწვეულმა უსიამოვნებამ ცოტას გაწყდა კინაღამ აგვრივდაგვრია და დაწყებაში სასარგებლო საქმეზედ კინაღამ გული ააცრუებინა სცენის მოყვარულთ. ეს ერთი დაბრკოლება რომ ავიცილეთ თავიდამ, ახლა ჩვენის „კრუჟოკის სტარშინებმა“ გამოყვეს ფეხი. საჭირო იყო ამ „კრუჟოკის“ დარბაზი, სადაც ხშირად იმართება ხოლმე სხვა-და-სხვა წარმოდგენანი. ერთი მუხლი ამ „კრუჟოკის“ წესდებისა, სხვათა-შორის, წარმოდგენების გამართვასაც, ავალებს ბ-ნ სტარშინებს. ეს მუხლი წესდებისა და თვით მაღალი მნიშვნელობა წარმოდგენისა კარგად ესმოდათ ხსენებულ საზოგადოების წინანდელ წარმომადგენელთ და ამიტომ დიდის სიამოვნებით უთმობდნენ ხოლმე დარბაზს-როდესაც-კი ვინმე მოისურვებდ-წარმოდგენის გამართვას. აწინდელმა „სტარშინებმა“ იწყეს ყოყმანი, გამოატყვრინეს სხვა-და-სხვა გვარი დაბრკოლებანი და ნაცვლად შემწეობის აღმოჩენისა, კინაღამ უარი გაანცხადეს. ბოლოს ორიოდ პატივცემულ კაცის დახმარებით საკეთილოდ გათავდა ეს ამბავიც. ამას შემდეგ გაძნელდა კვლავ მეტის-მეტად ადვილი საქმე: გაჭირდა სცენის შოვნა. მთელი ერთი კვირა დაიკარგა ამ სცენის თხოვნა-მოპოებაზე. როგორც იყო მოვრჩით ამანაც.. გვეგონა- ახლა-კი გაიჩარხა საქმე და მის მსვლელობას წინ აღარა დაუდგება-რაო.. მაგრამ გამოტყვრა ახლა სხვა დაბრკოლება: გაგვიხდა ავად ერთი სცენის მოყვარულთაგანი, რომელსაც აღებული ჰქონდა „ქოროღლის“ როლი.. მაგრამ ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: სადაც ბევრი ცუდია,, იქ ცოტაოდენი კარგიც არ დაილევაო.. გაჩნდა ამ დროს მეორე მოყვარული, იკისრა ამ როლის შესწავლა და მართლადაც ჩინებულად შეასრულა. აგრეთვე სანაქებოდ ითამაშეს ელ. ჯავახიშვილისამ გულნარას როლი, ეფ. სვენელმა ფატმას როლი და ლ—სამ ქიჩქინესი. საზოგადოებამ უხვად დაასაჩუქრა თავის თანაგრძნობით პატივცემულნი კავთურელი—დემურჩოღლი, ვაჩნაძე კვალიაშვილი.. ცნობილმა ბ-ნმა მაქსიმიძემ ისეთის ხელოვნებით ითამაშა ჯაფარ-ფაშას როლი, რომლის მსგავსი ჩვენს ქალაქურ სცენაზედაც-კი არ მინახავს. ამასთანავე სცენის ცოდნა და გამოცდილება ამისი და კავთურელისა დიდად გამოადგა ჩვენს პატარა საზოგადოებას. მშვენივრად ითამაშეს აგრეთვე ვოდევილიც.

შემოსავალი იყო 170 მან., ხარჯი 60 მ., დარჩა 110 მან. ამ ფულიდამ 80მან. გაეგზავნება მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ლ. ჯ—შვილს, 20 მან. კიევის უნივერსიტეტის სტუდენტს შ. ჩ—ძეს (ამას ამ წინაზედაც გაეგზანა 25 მ.) და დანარჩენი ერთი თუმანი გადადებულ იქმნა სცენის შემდეგის საჭიროებისთვის.

ჩვენის მოყვარულთა პატარა საზოგადოება გულითადს მადლობას უცხადებს ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს, რომელმაც უსასყიდლოდ გვათხოვა მოხსენებულ წარმოდგენისათვის საჭირო ტანისამოსი.

ა.—ნ.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ძველის ქართულის შესახებ.

ხშირად გვესმის რუსეთში მეცნიერთაგან გამოთქმული აზრი, რომ ქართულ ენას არ ეტყობა თანდათანობითი განვითარება, რომ იგი გაქვავებულია თავის ძველის დროებიდგან ცნობილ ფორმებით. ეს აზრი ეკუთვნოდა გამოჩენილ ლინგვისტებს ანუ ენათა მკვლევართ და ამიტომ საჭიროა ჩაუკვირდეს კაცი, რამდენად მართალია იმათი სჯა ჩვენის ენის შესახებ. რასაკვირველია, იმათ სჯერათ, რომ ჩვენი ენა იცვლებოდა ლექსიკურად, ესე იგი ახალ-ახალის სიტყვების შემოტანით და ძველ ლექსთაკონის შეცვლით. საკმარისია „ვეფხის ტყაოსანი“ იქონიოთ სახეში, რომ დარწმუნდეთ, რამდენი ჩვენთვის გაუგებარი სიტყვა ტრიალებდა მე-XII საუკუნეში. ლინგვისტნი ამბობენ, რომ ძველის სიტყვების განდევნა და ახალთა გავრცელება კიდევ არ ამტკიცებს ენის განვითარებასაო. საჭიროა თვით ენის მექანიზმი ანუ ფორმები იცვლებოდეს დროთა განმავლობით დასარწმუნებლად, რომ ენა ერთფეროვნად არ რჩება, მიდის განვითარების გზით, როგორც ემჩნევა საერთოდ კაცის ცხოვრებასაო. ჩვენ გვგონია, რომ

ვსტირი? შენ რაში გეპრიანება ჩემი ტირილი, ჩემი მწუხარება?!.

— არა, როგორ არ უნდა მეცოდებოდე, განა მე არ ვიცი შებრალება, სთქვა მან ისე, ერთი ძარღვიც არ შერხეულა მის პირისახეზე: ბალღივით გაეტირე იმ რაინდებს, მიკვირს თან არ გაჰყევ, ვინ იყვნენ, შენი რა ღყვნენ ისინი? და კვლავ გაიხითხითა.

— დაგწყევლოს ღმერთმა! ვსთქვი მე გაჯავრებულმა.

— თუნდ ეგრე იყოს, მერე რა გნებავს, სთქვა მან წარბ-შეუხრელად.

— შენი სიკვდილი, შენი წაწყმედა, შენი გატიალება, ამოვარდნა.

— ეგეც ეგრე იყოს თუნდა, მერე?

— გამშორდი, წადი; არ მინდა გხედვიდე. ბოროტი სული ხარ, ქაჯი ხარ, ალი, სწამლავ ჩემს გულ-გონებას, მიშხამავ ტკბილს ოცნებას, შენ ჩემთან საქმე არა გაქვს.

— არ წავალ და ვერც შეგიძლიან ძალით გამაგდო. ენით რაც გენებოს, ბრძანე. შენ მე იოტის ოდნად ვერ შემდრეკ იმიტომ, რომ მე მოუდრეკელი ვარ. მე როგორიც დავიბადე, ისეთი ვარ მუდამ წამს, მუდამ ჟამს, ყოველ გვარ შემთხვევაში. სრულია ჩემი ბ-ნება მუდამ, არც დაიკლებს, არც მოიმატებს არა დროს. ამიტომ ამაოა სულ შენი რისხვა, შენი წყევლა და მუქარა, ისევე ამაო, როგორც თვით შენი ლტოლვილება და მისწრაფება და დღევანდელი ცრემლი. რად გავიწყდება: ყველაფერს დასასრული აქვს! სთქვა რა ეს, კვლავ გაიცინა.

—სუ, ჩუმად-მეთქი! ნუ მომაგონებ იმას, რაც არ მინდა მოვიგონო და არც მოსაგონებელია. ეგ მეც ვიცი, მაგრამ მისწრაფება, ფიქრი,გრძნობა, სიყვარული, მტრობა და ყველა ის, რაც ცხოვრებას შეადგენს, აძინებს მაგ ფიქრს ამაობისას, ყველაფრის დასასრულისას, წყეულო! შენი ბუნება ამას ვერ გაიგებს, რადგან იგი შხამი, საწამლავი არის.

—ჰო, სიმართლეს როცა გეტყვი, შხამია, საწამლავია, და როცა შენს წადილს საკვებავს მივსცემ, ის გესიამოვნება?! ხა, ხა, ხა! გაიცინა უგემურად, გესლიანად.

ქაჯი თავის ქსელს თანდათან ვრცელად აბამდა და უნდა გავეხვიე ვითომ, მაგრამ ამ დროს გაჩნდა თვით მისი შემმუსრავი საწამლავი, მისი მჩაგვრელი, მისი მბრძანებელი: თეთრწვერა, მშვენიერის, დინჯის, ტკბილის სახის მოხუცი წამოგვადგა თავზე; ხელში ყავარჯენი ეპყრა და გამწყრალის, ნაწყენობის ელ-ფერი სცემდა ბადრს სახეზედ. ჩემი დაუპატიჟებელი სტუმარი აქამდის, ასეთი თამამი, ასეთი შეუპოვარი, სასტიკი, ამ მოხუცის დანახვაზედ, ტალახივით მიწას გაეკრა, გადნა, მოიბუზა, ენა გაუხმა, გვერდზედ ცქერა დაუწყო ცბიერის თვალებით, როგოც ქურდი ეძებს ხოლმე გადასახტომს, გასაქცევს გზას.

— შენ ეი, წყეულო; აქ რა გინდა? არ იშლი შენს ვერაგობას, შენს სიბილწეს, ჰპოვე მორწმუნე და მოაშურე, ესროლე ბადე, უნდა გააბა? ვერა! გასწიო, შეუძახა სულ-კურთხეულმა მოხუცმა იმ ბოროტს სულს და მოუქნია ყავარჯენი. იგი, როგოც წინწელი, ისე გაჰქრა, თავგადაგლეჯილი. შორს, ჰაერში ერთხელ კიდევ, მაგრამ უკანასკნელადღა, გაისმა მისი გესლიანი ხითხითი. ის იყო და ის.

— ადექი, შვილო, ადექი! მორწმუნე ხარ და იყავი მარად მორწმუნე! ნუ შესდრკები, ნუ გასტყდები. მადლი და ღვაწლია თვით სიმტკიცე და რწმენა, სთქვა მოხუცმა ლმობიერის, ტკბილის ხმით, მომჭიდა ხელზედ ხელი და ამაყენა.—აგერო, სთქვა მან: აგერ, გაიხედე, ინუგეშე, გაიხარე!.. მე თვალი მივაპყარი დასავლეთს და მკვდარი გავცოცხლდი. საუცხოო მნათობი ანათებდა ერთს ადგილს გაჩერებული,—მზე იყო, მაგრამ ის მზე არა, დილით რომ ამოდის და მიეშურება საღამოზედ გორას მოეფაროს; იმ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა, თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისთვის, თვალ დამშეული უცქეროდა ჩვენს მხარეს. მე, გიჟივით გონება-დაბნეული, შევხაროდი, შევსტრფოდი მნათობს და მუხლს ვუყრიდი.

ვაჟა-ფშაველა

ქართული ენა ამ მხრივაც შეიძლებს გვიჩვენოს მაგალითები, რომ იგი განვითარებას არ იყო მოკლებული. ამ აზრის გასამართლებლად უნდა მივმართოთ უძველეს ლიტერატურულ ნაშთს და შევადაროთ მისი ფორმები აწინდელ ფორმებს. ავიღოთ წმ. სახარება, რომლის ენა უნდა მიჩნეულ იყოს საუკეთესო გამომეტყველ იარაღად ჩვენის მაცხოვრის ქვა-კუთხედის მოძღვრებისა. ამ ჟამად ვიკმაროთ მეორე თავი მათე სახარებისა. მათე, II, 1. „ხოლო იესოს შობასა ბეთლეემს ურიასტანისასა, დღეთა იროდი მეფისათა, აჰა მოგვნი აღმოსავლით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს“. ეხლანდელ ენაზედ გადავიღოთ ეს მუხლი: „მას ჟამს (მაშინ), როცა იესო იშვა (დაიბადა) ბეთლემს (ში) ურიასტანისას(-ში), იროდი მეფის დროს, აღმოსავლიდგან მოვიდნენ მოგვნი იერუსალიმში და იტყოდნენ“. შეადარეთ ერთმანეთს ეს ორი ნაწყვეტი და თვალსაჩინოდ დარწმუნდებით, როგორ იცვალა ენა ლესქიკურადაც და გრამატიკულადაც. პირველად მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ აწინდელ ლიტერატურულ და სალაპარაკო ენაში არ იხმარება ესრედწოდებული მიცემითი დამოუკიდებელი ბრუნვა, რომელიც უ ფრის ბერძნულს ნათესაობითს დამოუკიდებელ ბრუნვას და სლავიანურ მიცემითს. ეს დამოუკიდებელი ბრუნვა წარმოადგენს შემოკლებულ დართულ წინადადებას გარემოება დროისას. ამ გვარი შემოკლება დართულის წინადადებისა აწ აღარ იხმარება, როგორც ჩვენის დროის რუსულს ენაში არ შეიძლება მიმართოთ მიცემით დამოუკიდებელ ბრუნვას. ეს ერთი შესამჩნევი ცვლილებაა ჩვენის ენისა. დაუკვირდით ზმნის ფორმებს: მოვიდეს და იტყოდეს. თუ ამ ფორმებს შეხედავთ ახლანდელის დროის თვალით, თქვენ იტყვით, რომ იგი აწ პირობით დახრაა, ან მომავალი დრო ნებითის სქესისა. აზრი-კი გვამცნებს, რომ აქ წარსული დროა საზღვრებითის სქესისა. დაბოლოებაც ჩვენთვის არა ჩვეულებრივია: მესამე პირი მრავლობითი რიცხვისა ახლა დაბოლოვდება ნ-ით: მოვიდნენ და იტყოდნენ (ანუ მოვიდენ და იტყოდენ), სახარებაში-კი ვპოულობთ ს-: მოვიდეს და იტყოდეს.

ეს ს-ნი სმღვთო წერილში კანონიერად არის ნახმარი: მესამე პირი მრავლობითის რიცხვისა ნამყო წარსულში დაბოლოვდება ს-ით: სწერეს, აკეთეს. სიტყვები მოვიდნენ: (მოვიდენ) და იტყოდნენ და იტყოდენ ბოლოვდებიან ანალოგიურად აწმყო და ნამყო უსრულისა: სწერენ, აკეთებენ; სწერდნენ (სწერდენ), აკეთებდნენ (აკეთებდენ). შეჩერდით იმ ფორმებზედ, რომელნიც გხვდებათ ადგილის აღსანიშნელად: კითხვაზედ საიდგან? სახარება მოგიგებთ აღმოსავლით პირდაპირ უთანდებულოდ მოქმედებითი ბრუნვა ახლად ვიტყვით აღმოსავლეთიდგან (შეადარე ლათინური ablativy loci Aurelavia Profetus est). კითხვაზედ სად? სახარებაში ვკითხულობთ ბეთლემს (dativus loci), ახლა ვიტყვით ბეთლემში. კითხვაზედ სად? სახარება ხმარობს მოქმედების მეორე ბრუნვას იერუსალიმად. ახლა-კი ცნობილია იგივე მიცემითი ბრუნვა თანდადებულით ში: იერუსალიმ (ს) ში.

რადგანაც გაგრძელდა წერილი, ერთს თვისებას კიდევ მივაქცევ თქვეს ყურადღებას. წაიკითხეთ მეოთხე მუხლი: და შეკრიბნა ყოველნი მღვდელთ მთავარნი ახლა უნდა ვსთქვათ: შეკრიბა ნ-ის გამოკლებით. ეს ნ-ი ნახმარია მრავლობით რიცხვში დამატების გავლენით. ვინ მოუწოდა? მღვდელ-მთავარნი და მწიგნობარნი. შეადარეთ მერვე მუხლი: და წარავლინნა იგინი ბეთლემად. მეორე ნ ი ნახმარია „იგინის“ წყალობით. მე-16 მუხლი: განრისხნა (მოგვნი) ფრიად.

შემდეგ კიდევ დავუბრუნდებით მათეს სახარების მეორე თავს. ამ წერილში მოყვანილი ადგილები განა არ ამტკიცებს ფორმების ცვლას, განვითარებას?

ა. ხ—ი

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი მისცეთ შემდეგს ანგარიშს იმ საქველ-მოქმედო წარმოდგენისას, რომელიც გაჰმართეს ქ. თელავში ამა წლის 21 ნოემბერს სცენის მოყვარულთ აქაურის საზოგადო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

მთელი შემოსავალი იყო 149 მან. 29 კაპ. აქედგან დაიხარჯა: 49 მანეთი და 81 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 99 მანეთი და 48 კაპ., რომელიც გარდაეცა ზემო აღნიშნულ წიგნთ-საცავის გამგეობას ამასთანავე დიდს მადლობას მოვახსენებთ, როგორც კერძოდ ჩვენის მხრით, აგრეთვე წიგნთ-საცავის მთელი საზოგადო კრების მონდობილობით ქ. ბ. თ. ს—ა მარჯანოვისას და ს. დ. ხირსელოვისას; ბ-ნ კ. ა. მარჯანოვს, ი. ნ. დოდაევს, ს. კ. მიტროფანოვს, ი. გ. მაყაშვილს და სომხის სკოლის მასწავლებელთ—შავერდიანსა და რაფაელიანს, რომელნიც დიდის გულ-მოდგინებით შრომობდნენ ამ საქველ-მოქმედო საქმისათვის.

დიდს მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ბ-ნ ივანე კალატოზიშვილს, რომელმაც უფასოდ დაგვიბეჭდა ბილეთები და აფიშები ამ წარმოდგენისათვის და მომავალშიაც ამ მხრივ შემწეობა აღგვითქვა; საზოგადოდ ყველას მადლობას ვუძღვნით, ვინც ამ კეთილ საქმის შესრულებაში დაგვეხმარა.

წიგნთ-საცავის გამგეობის წევრნი
ს. მამალაძე
ლ. ვახვახიშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

გაზეთი „Рус. Вѣд.“ სწერს: იმ აუარებელ განცხადებათა რიცხვიდგან, რომელიც იბეჭდება გაზეთებსა და აფიშებში, კაცი ადვილად მიხვდება, რამდენი გაჭირვებული და უსაქმო კაცი მთელის თვეობით ელოდება ისეთს სამუშაოს, რომ როგორმე თავი გამოიკვებოს. მაგრამ ამ გვარ გაჭირვებულთ, რა თქმა უნდა, ძლიერ ეძნელებათ გაზეთებსა და აფიშებში განცხადებების ბეჭდვის ფულის გადახდა. საზღვარ გარედ დიდი ხანია არსებობს იმ გვარი საზოგადოებანი, რომელთაც საგნადა აქვთ უსაქმოდ დარჩენილს კაცს რაიმე საქმე უშოვონ.

რუსეთში-კი ჯერ ასეთის საზოგადოების დაარსებისთვის არავის უფიქრნია. სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, საჭიროა საქველ-მოქმედო საზოგადოებათ მაინც ისეთი ბიურო დააარსონ, რომელსაც საგნად ექნება შუამავლობა გასწიოს მწარმოებელთა და მუშათა შორის, და უკანასკნელთ სამუშაო აღმოუჩინოს ხოლმე, თორემ მარტო გაზეთებსა და აფიშებში განცხადებათა ბეჭდვით მუშა ხალხს ბევრი რამ ვერა ეშველება-რა.

რუსეთი

„Тюремный Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი გოგელისა. გოგელი მიჰმართავს საპატიმროთა მთავარ სამმართველოს და იმის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ძალიან ხშირად ადებენ ხოლმე პატიმართ ბორკილს, რაც აშკარად ამტკიცებს საპატიმროს უფროსის და ზედამხედველთა თვით-ნებობასაო. წერილის ავტორი სამართლიანად ამბობს, რომ ბორკილის გაყრა კანონით სასჯელად-კი არ არის შემოღებული, არამედ იმიტომ, რომ პატიმრებს გაქცევის საშუალება მოსპობილი ჰქონდეთო. ამის გამო ბორკილი შეიძლება გაეყაროთ მხოლოდ იმათ, რომელთაც კატორგა აქვთ გადაწყვეტილი, დანარჩენს შემთხვევაში მისი ხმარება-კი უსამართლობაა. ეს ასეა, მაგრამ ჩვენში წესად და ჩვეულებად არის შემოსული, რომ გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმართაც უყრიან ბორკილს, თუმცა მიზეზიც არა მიეცეთ-რა ცუდად მოქცევისა და იმისა, რომ ვითომ გაქცევა სდომებოდეთ. წერილის ავტორი ამბობს, რომ რა-კი ბორკილის დადება უბრალო ბრალიანად შესაწყნარებელი არ არის, ამიტომ საპატიმროს უფროსმა ბორკილის გაყრის დროს დაუყოვნებლად უნდა აცნობოს თავისი სურვილი ბრალდებულის ამხანაგს და იმის ნებართვასა და გადაწყვეტილებას უნდა ელოდესო.

გოგელის აზრით, ბორკილი ისტორიული ნაშთია, მისამატი სასჯელი კატორგაში გაგზავნილთა. ბორკილს ძალიან ხშირად ჰხმარობენ პატიმართა გაგზავნის დროს, რაც ფულის არ ქონვასა და ძველის ძველადვე წესის შეუცვლელობას უნდა მიეწეროს. ვის არ უნახავს ჩვენის დროსათვის სამარცხვინო, ადამიანის გამრყვნელი და განათლებულს ქვეყნებში ყოვლად არ მისაჩნევი სურათი, როდესაც ნადირსავით ადამიანები დაჯაჭვულები მიჰყავთ. მაინც და მაინც თუ ეს წესი ბორკილის გაყრისა დატოვებული იქმნება, ისე-კი უნდა იყოს, რომ იმისის დადების უფლება მხოლოდ ბრალმდებელსა ჰქონდეს და არა საპატიმროს უფროსსა და ზედამხედველს.

თუ ბრალმდებელის ამხანაგს აქვს მინდობილი გადასაწყვეტად, ეხლავე დავაპატიმროთ თუ არა ესა და ეს სამართალში მიცემული და თავისუფლება მოუსპოთო, მით უფრო იმასვე უნდა მიენდოს იმისი გადაწყვეტაც, მართლ-მსაჯულებისათვის ხელ-საყრელია და გამოსადეგი თუ არა, რომ ადამიანს, დაპატიმრების გარდა, მოძრაობის საშუალებაც მოესპოს და ბორკილი გაეყაროსო...

—

ამ დღეებში ქ ნს ადანს მოელიან პეტერბურგს.

—

„Кіевское Слово“ ამბობს, რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტმა დაწვრილებითი ნუსხა შეადგინა იმათი, რომელთაც უფლება ექმნებათ უფასო და საშეღავათო წლიურ ბილეთებით სარგებლობისა. ეს ნუსხა უკვე იბეჭდება და ვიდრე ის მომზადდებოდეს, სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებს უნდა ცნობა გაეგზავნოს, ნულარავის მისცემთ უფასო ბილეთებსაო.

უცხოეთი

საფრანგეთი. რადგანაც საფრანგეთსა, ესპანიასა და იტალიაში ამ ჟამად ძლიერა სდევნიან ანარხისტებს, ამიტომ იგინი ინგლისში მიდიან საცხოვრებლად. დღე არ გავა, რომ იგლისში რამდენიმე ანარხისტი არ მივიდეს გემით. ამ გვარად ანარხისტთა ბედი და იღბალი ინგლისის მთავრობის ხელშია და თუ ამ მთავრობის წინააღმდეგ იმოქმედებს, ანარხისტებს სხვაგან ევროპაში ბინა აღარსად ექმნებათ.

ხოლო ინგლისის მთავრობას ანარხისტებისა სულაც არ ეშინიან, რადგანაც იმედი აქვს თავის პოლიციელთა და მცველებისა. ანარხისტთა წინააღმდეგ ჯარი არც-კი დასჭირდება. ინგლისის ლონიერ, მარჯვე და ბოქსის მცოდნე ჯენტლემენებს დღე და ღამ არც-კი სძინავთ და სულ იმას ჰფიქრობენ, ნეტავი ერთი ის ანარხისტები გვაცემინაო. ერთ კვირა დღეს, როცა ანარხისტებმა კრება გაჰმართეს ტფალგარ-სკვერში, რამდენიმე ჯენტლემენი დაეცა და ისე დაუშინეს მუშტები, რომ პოლიციელნი იძულებულნი შეიქმნენ ანარხისტებს მიჰშველებოდნენ, თუმცა მათ წინააღმდეგ-კი იყვნენ მიწვეულნი, უწესობა რამ არ მოახდინონო.

ზოგიერთ ჯენტლემენებს კიდევ პირობა შეუკრავთ, ანარხისტების სახლებს დავეცეთ და მუშტით გავცეთ პასუხიო.

—

იტალიის ჟურნალისტ კროტტს გარდა, გადაწყვეტილია საფრანგეთში არ დააყენონ 200 სხვა-ქვეყნელი ანარქისტი, რომელთა-შორის ნახევარი იტალიელია.

მთავრობა სხვა-და-სხვა საშვალებასა ჰხმარობს ანარქისტთა წინააღმდეგ, როგორც საზღვარს ახლო, ისე დეპარტამენტებში. იუსტიციის მინისტრმა მთავარ-პროკურორებს ცირკულიარი გაუგზავნა, ახალ-კანონით, განმარტებული, და სთხოვს, მოსპეთ ყოველ გვარი საანარხისტო ამბოხება, რომელიც იმად არის მიმართული, რომ სამხედრო კანონი შეადგინონ და მიიმხრონო. სასამართლოს უფლება აქვს გამოარკვიოს, ესა-თუ-ის ამხანაგობა ქვეყნის საშენებლად არის თუ არა შემდგარი, და განდევნოს ისინი, რომელთა იქ ყოფნა საფრანგეთს უმხადებს რასმეო.

—

ბრაზილია. ‚რიო-დე-ჟანეიროდგან იუწყებიან, რომ ყუმბარის სროლა ჯერ არ შეწვეტილაო.

—

ესპანია. პოლიციამ ბარცელონას ახლო, სოფელ კუევასში ანარქისტთა ლაბორატორია იპოვნა. ბევრი შუა იპოვნეს ᲩᲐ ყუმბარები, ასაფეთქებელ წამლით სავსე.

იტალია. მასოვადგან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ დერეფნებს 1.000-მდე კაცი ჰყავთ მოკლული; გაფანტულნი და დაჭრილნი მრავალზე ულრავლესნი არიან. იტალიელების სამი აფიცერი და ერთი უნტერ-აფიცერი მოკლული ჰყავთ და ორი აფიცერიც დაჭრილი. ადგილობრივ ჯარის-კაცთა შორის 98 კაცი მოკლულია, 123 დაჭრილი. პოლკოვნიკი არიმონდი კუფფიტს წავიდა.

გაზ. „Persweranza“ ამბობს, რომ ახალმა სამხედრო მინისტრმა იტალიისამ საჭიროდ დაინახა ჯარების გაძლიერება საფრანგეთის საზღვარზედ. ალპიის მსროლელს ჯარს უჭირავს მთის გასავლები და იმათ უნდა შეუერთონ იტალიის საუკეთესო ჯარი.

გასართობი

ერთი ინგლისელი ცეცხლის გემით მიდიოდა. მასთან ერთად სხვებიც ბევრნი იყვნენ, ფრანგები და გერმანელნი. ლაპარაკი ჩამოვარდა ინგლისში თავის მოკვლის შესახებ. „საკვირველია, სთქვა ერთმა ქალმა, ბევრს ინგლისელს ყოველ გვარ საშუალებით მოუკლავს თავი, ხოლო წყალში-კი ჯერ არავინ დამრჩვალა“. „ეგრე გგონიათო, ჰკითხა ინგლისელმა.—დიაღ, ამას ყველანი ამბობენო.—მაშ მე დაგიმტკიცებთ, რომ ინგლისელს წყალშიაც შეუძლიან თავის დარჩობა“. სთქვა ესა, ზღვაში გადავარდა და თავი დაირჩო.

**

ლონდონის ახლოს ერთმა ავაზაკმა ლორდის მიულგრეკის ეტლი გაჩერა, ლორდს გულზედ დამბაჩა მიაბჯინა და უთხრა: „მილორდ, ეს იარაღი ჰღირს ასი გირვანქა სტერლინგი. გირჩევთ, რომ იყიდოთ“. ლორდი მიხვდა, რაც უთხრა ავაზაკმა; ასი გირვანქა სტერლინგი ჩააბარა, დამბაჩა გამოართვა, დაუმიზნა ავაზაკს და ჩახმახს მოსწია, მაგრამ დამბაჩა არ გავარდა, თურმე გატენილი არა ყოფილიყო. ავაზაკმა მეორე დამბაჩა იძრო ქამრიდგან, დაუმიზნა ლორდსა და უთხრა: „გარწმუნებთ, რომ ეს დამბაჩა გატენილია და რადგანაც ისე სულელად ჩამთვალეთ და გეგონათ, რომ მე თქვენს ხელში გატენილს დამბაჩას ჩავაგდებდი, გთხოვთ, ასი გირვანქა სტერლინგი კიდევ სხვა ჯარიმა გადაიხადოთ. ლორდსაც მეტი რა გზა ჰქონდა, ეს თხოვნა უნდა აესრულებინა.

**

გერმანიის ერთმა მთავარმა, მემკვიდრეობა რომ ჩაიბარა, მთელი თავის სამფლობელო შემოიარა და ერთის საპატიმროს უფროსს უთხრა, თქვენ პატიმართ შორის ისეთი ხომ არავინ მოიპოვება, რომ ღირსი იყოს, რაიმე შეღავათი მივცეთო. საპატიმროს უფროსმა წაიკითხა სია დაპატიმრებულთა და ერთის კაცის სახელს, რომელსაც მთელის სიცოცხლის განმავლობაში დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი, გვერდთ მოუწერა: „ღირსია, რომ დაპატიმრების ვადა სამის წლით შეუმცირდეს“.

უცხოეთის წვრილი ამბავი

ინგლისის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია წერილი ერთის ქალის მისს ბერტლეისა. ამ წერილში მოყვანილია საყურადღებო ცნობანი შესახებ სხვა-და-სხვა სახელმწიფოს მეფეთა შთამომავლობისა. ქ-ნი ბერტლეი სწერს სხვათა შორის საბერძნეთის პრინცის გეორგის ლონის შესახებ. უკანასკნელ მოგახსენება, რომ პრინცმა გეორგმა ჯოხის ერთის დაკვრით კინაღამ მოჰკლა ის ავაზაკი, რომელიც რუსეთის მემკვიდრეს შეეხო მოსაკლავად. ქ-ნი ბერტლეი ამტკიცებს, რომ დანიაში ამას წინად ნამყოფ ერთის სა-

სულმწიფოს მეფის გარდა ღონიერია, პრინცი გეორგი თუმცა კაცი ამას კერ იტყვის პირველის შესვლაითო.

ძლიერ ღონიერი ეოფილა აგრეთვე კირტემბერგის პრინცი. ქალთა შორის ძლიერ ღონიერი და მარჯვეა თურმე დანიის პრინცესა.

ქ-ნის ბარტლეისაგან სიტყვით სპბერძნეთის პრინცის გეორგის გარდა ღონიერები არიან გერმანიის პრინცები, შემდეგ ავსტრიისა, სოფრანგეთისა და იტალიისა.

ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

დამწვრის წამალი

ამერიკაში თურმე ძლიერ სმარობენ დამწვრისთვის შემდეგს წამალს: აიღეთ ჭინჭრის ფოთოლი, წკრილად დასჭერით, ჩაჭყარეთ სპირტში და შეინასეთ. როცა-ვი დაგჭირდეთ, ამ წამალში დასველეთ ტილოს ნაჭერი და დამწვარ ადგილზედ დაიდეთ. ეს წამალი ტკივილსაც მალე აუფრებს და დამწვარიც მალე რჩება თურმე.

დეპეშა

18 დეკემბერი

პეტერბურგი. მექარხნეთ დაევალებათ დაარსონ საზოგადოება ქარხნებში სასანიტარო წესის დასაცველად.

ბერლინი. ამბობენ, კაპრივისა, მიკვლისა და ბრონზარის მოხსენებას იმპერატორისადმი ის მოჰყვა, რომ კაპრივიმ მიკვლის თანხმობით გადასწყვიტა: გასტუმრებულ იქმნას ხარკი, გამოწვეული ახალ სამხედრო კანონით; ყოველი ძალ-ღონე მიქცეულ იქმნას რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასამთავრებლად და ახალი საფინანსო რეფორმა გადადებულ იქმნას პარლამენტის ახალ სესსიამდე.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑ.

	ᲬᲘᲜᲓᲚᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲠᲣᲡ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲥᲠᲝ	7,55	7,57	— ,,
ᲢᲐᲛᲝᲣᲜᲘᲡ ᲙᲣ�პᲝᲜᲘ	151	151½	— ,,
ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲠᲪᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ	— ,	— ,,	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲗ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ	— ,,	— ,,	246¾
—ᲛᲔᲝᲠᲔᲡ		— ,,	220
4% ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	-- ,,	— ,,	— ,,
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲑ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— ,,	— ,,	189
ᲒᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲗᲐᲜ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ:			
6%	100½	— ,,	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6%	100½	— ,,	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
5% ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ	97½	— ,,	— ,,

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲐᲡ ᲨᲣᲐ.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

ᲛᲘᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲖᲔᲓ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკევობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკევობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზე, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—2)

იძლევა იჯარით ახმეტაში და გლდანზე: სახლ-კარი, სახნავ-საძოვარი და ვენახები. გლდანზე იყიდება კიდეც. დაწვრილებით შეტყობა შეიძლება: ავჭალის ქუჩა, ალხაზიშვილის სახლი კნ. თარხანიშვილთან.

(3—1)

ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . .	„	50
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20
დავით ალმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა .	„	40
გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა	„	20
მეველე, მისივე. . . .	„	10
თავადი იერონიმე, მისივე.	„	10
მთიული სოსე, მისივე . .	„	10
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა.	„	20
რავდენიმ მოთხრობა მისივე.	„	50
ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა.	„	50
ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი	„	55
ლექსები გრ. ორბელიანისა	„	50
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზლებანი ი. დავითაშვილისა	„	80
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ᲐᲛ 1894 ᲬᲚᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕ ᲙᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲖᲔᲓ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲔᲜ ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘ. ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ:

12	თვით. . . .	10 მ.—კ.	6	თვით . . .	6 მ.—კ.
11	,, . . .	9 ,, 50,,	5	,, . . .	5 ,, 50,,
10	,, . . .	8 ,, 75,,	4	,, . . .	4 ,, 75,,
9	,, . . .	8 ,, —,,	3	,, . . .	3 ,, 50,,
8	,, . . .	7 ,, 25,,	2	,, . . .	2 ,, 75,,
7	,, . . .	6 ,, 50,,	1	,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВѢРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ

ა) მოთხუ გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რაცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

1894 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲒᲐᲜ

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

„ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სასცენო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, სიერო მეურნეობა, მართლ მსაჯულება, შესანიშნავი სამეცნიერო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

ᲤᲐᲡᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი ჰ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი), ნ. ორბელიანისა, პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, გ. სანაგლიშვილი, ჰ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

სულის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ეღარ მოსთხოვენ რედაქციას, არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრ. მისამართის: Тифлисъ, Редакція ‹Моамбе›.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე

Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Декабря 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე